



WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #74 მაისი, 2019

გამოშვებაში

მე-4 ეროვნული კიბეროლიმპიადის და „კიბერკუბი 2019“

1

საფრანგეთის დელეგაციასთან კიბერუსაფრთხოების საკითხებზე შეხვედრა გაიმართა

3

„მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ტაშკენტში გამართულ სემინარზე ელმმართველობისა და კიბერუსაფრთხოების კომპეტენციის ცენტრის შესახებ პრეზენტაცია გააკეთა

4

ტრენინგი მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის

4

მე-4 ეროვნული კიბეროლიმპიადის და „კიბერკუბი 2019“




საქართველოს უნივერსიტეტების და სკოლების მონაწილეობა მიიღეს მეოთხე ეროვნულ კიბეროლიმპიადის და „კიბერკუბი 2019“, რომელიც 31 მაისს თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა. წელს კიბეროლიმპიადის 42

გუნდად დაყოფილი 120-მდე მონაწილე შეუერთდა.

კიბეროლიმპიადის ორგანიზატორია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი (CERT-GOV-GE).

კიბეროლიმპიადის მიზანია კიბერუსაფრთხოების სფეროს განვითარების ხელშეწყობა და პუპულარიზაცია, ასევე იმ პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება, რომლებიც ფლობენ შესაბამის ტექნიკურ ცოდნასა და კომპეტენციას.

კიბეროლიმპიადის მონაწილეობის მიღება შეეძლო კიბერსაკითხებით დაინტერესებულ ყველა ახალგაზრდას, ვისაც არ შესრულებია 25 წელი. ოლიმპიადის მონაწილეობის მიღების მსურველებმა, მოთხოვნების შესაბამისად, წინასწარ ჩამოაყალიბეს მაქსიმუმ 3 წევრისგან შემდგარი გუნდი. კიბეროლიმპიადის მონაწილე ახალგაზრდების შერჩევის პრინციპი ეყრდნობოდა მათ ცოდნასა და გამოცდილებას პროგრამირებაში, ქსელურ და ვებტექნოლოგიებში (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) ოლიმპიადის გახსნაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე **ალექსანდრე ტაბატაძემ** ხაზი გაუსვა საქართველოს მიღწევებს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების განვითარების საქმეში, სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე **ნიკოლოზ გაგნიძემ** კი ისაუბრა ყოველწლიური კიბეროლიმპიადის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების მომზადების საქმეში.

„წლიდან წლამდე ვაკვირდებით ოლიმპიადის მონაწილეთა უნარების განვითარების პროცესს, მათი მომზადების დონის ზრდას და, რაც მთავარია, ვხედავთ, რომ სულ უფრო მეტ ახალგაზრდას სურს პროფესიული საქმიანობის დაწყება კიბერუსაფრთხოების სფეროში. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ კიბერსპეციალისტების ახალი თაობის მომზადებას კიბერშეტევების კრიზისული სიტუაციებისთვის, რაც გაზრდის ქვეყნისა და, შესაბამისად, მოქალაქეების დაცულობის დონეს ამ მიმართულებით“, - განაცხადა **გაგნიძემ**.

კიბეროლიმპიადაში მონაწილე 42 გუნდი ერთმანეთს სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული კიბერინციდენტების შედეგების აღმოფხვრის, ასევე კიბერკრიზისული სიტუაციების პრევენციის საუკეთესო გზების მოძიებაში შეეჯიბრა. გადასაჭრელ ამოცანათა შორის ასევე შედიოდა კომპიუტერულ ტექნიკასთან დაკავშირებული პრობლემები და ჰაკერული თავდასხმები. შესასრულებელი დავალებები საერთაშორისო პრაქტიკასა და CERT-GOV-GE-ის გამოცდილებას ეფუძნება.

„სასიხარულოა, რომ კიბერსაკითხებით ამდენი ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდაა დაინტერესებული. 2016 წლიდან მოყოლებული, როდესაც პირველი ოლიმპიადა ჩავატარეთ, ჩვენ მუდმივად ვცდილობთ ყოველ მომდევნო წელს კიდევ უფრო განახლებული პროგრამა შევთავაზოთ მონაწილეებს, ვინაიდან სწრაფად იცვლება მიდგომები, ვითარდება კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული სტრატეგიები. ეს პროექტი კიბერუსაფრთხოების მიმართ სისტემური მიდგომის მაგალითია, რაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან წარმატებული თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი სწორედ კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა და მისი შენარჩუნებაა“, - **დავით ქვათაძე**, CERT-GOV-GE-ის მენეჯერი.

გამარჯვებულ გუნდს საქართველოს უნივერსიტეტი ერთი წლის სწავლის საფასურს დაუფინანსებს. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ღონისძიების სპონსორები არიან ბრიტანეთის საელჩო, UKAID, UNDP, „აი ეს ეს პი“ (ISSP) და საქართველოს უნივერსიტეტი, ხოლო მხარდამჭრი - ასოციაცია „გრენა“.



საფრანგეთის დელეგაციასთან კიბერუსაფრთხოების საკითხებზე შეხვედრა გაიმართა



იუსტიციის მინისტრის მოადგილე **ალექსანდრე ტაბატაძემ** საფრანგეთის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების გენერალური სამდივნოს (SGDSN) დელეგაცია მიიღო. ფრანგული დელეგაცია თბილისში ორ ქვეყანას შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით იმყოფებოდა. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდა სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე **ნიკოლოზ გაგნიძე**.

იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ფრანგულ მხარეს ქვეყნის მიერ ბოლო წლებში კიბერუსაფრთხოების სფეროში მიღწეული შედეგები გააცნო. შეხვედრაზე ისაუბრეს იმის შესახებ, თუ რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება მოქალაქეების, კერძო და საჯარო სექტორების, ელექტრონულ სივრცეში უსაფრთხო ფუნქციონირებისა და ონლაინ სივრცის დაცულად გამოყენებისთვის. როგორც შეხვედრაზე **ალექსანდრე ტაბატაძემ** განაცხადა, კიბერუსაფრთხოება საქართველოს მთავრობის სტრატეგიული მიმართულებაა და მთავრობის მხრიდან მის განვითარებაზე ზრუნვას დიდი ყურადღება ეთმობა.

„კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს ქვეყნის შეუფერხებელი ფუნქციონირების, ეროვნული და სამოქალაქო უსაფრთხოების, თავდაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს. საქართველო კიბერუსაფრთხოების განვითარების თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში ლიდერი ქვეყანაა. ამას მოწმობს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსის (GCI-Global Cybersecurity Index) მაჩვენებლები – 2018 წელს საქართველო სამართლებრივი, ტექნიკური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების, თანამშრომლობითი ფორმატებისა და ორგანიზაციული კომპონენტების შეფასებით, მსოფლიოში მე-18, ხოლო ევროპაში მე-9 ადგილზეა“, – აღნიშნა შეხვედრაზე ალექსანდრე ტაბატაძემ.

ჩვენს ქვეყანაში იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ არის ის ორგანო, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურების ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობა წარმოადგენს.



„მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ ტაშკენტში გამართულ სემინარზე ელმმართველობისა და კიბერუსაფრთხოების კომპეტენციის ცენტრის შესახებ პრეზენტაცია გააკეთა



ტაშკენტში გამართულ საერთაშორისო სემინარზე, რომელიც ელექტრონული მმართველობის განვითარების თანამედროვე მიმართულებებს ეხებოდა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ კიბერუსაფრთხოებისა და ელექტრონული მმართველობის სამართლებრივი კვლევისა და ანალიზის მენეჯერმა **ეკა გორდაძემ** ისაუბრა ელმმართველობისა და კიბერუსაფრთხოების კომპეტენციის ცენტრის ქართულ მოდელზე, რომელიც „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“

ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით საქართველოში იქმნება.

„ჩვენი სააგენტო აქტიურად მუშაობს ქვეყანაში ელექტრონული მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების კომპეტენციის ცენტრის შექმნაზე, რომელიც თავს მოუყრის ქვეყნის მიღწევებისა და მნიშვნელოვანი რეფორმების შესახებ ინფორმაციას/ცოდნას და შექმნის პლატფორმას, რათა ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ სხვადასხვა დაინტერესებული ქვეყნის წარმომადგენლებს და დავეხმაროთ მათ საქართველოში უკვე განხორციელებული წარმატებული რეფორმების იმპლემენტაციის მიმართულებით. აღნიშნული ცენტრის შესახებ საერთაშორისო მასშტაბით ინფორმაციის გასაზიარებლად ასეთი ტიპის ღონისძიებები მეტად მნიშვნელოვანია. სემინარზე დამსწრე აუდიტორია დაინტერესდა კომპეტენციის ცენტრის ქართული მოდელით. გაიმართა საინტერესო დისკუსიაც, რომლის დროსაც უცხოელ პარტნიორებს პროექტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდეთ“, - **ეკა გორდაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ კიბერუსაფრთხოებისა და ელექტრონული მმართველობის სამართლებრივი კვლევისა და ანალიზის მენეჯერი.

„მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენელმა სემინარის მონაწილეებს ასევე გააცნო საქართველოს მიერ ელმმართველობის მიმართულებით გატარებული რეფორმები და წარმატებული პროექტები.

სემინარი გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერითა და უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო ადმინისტრირების აკადემიის ორგანიზებით გაიმართა.

„მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ კვალიფიციური სანდო მომსახურების, ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალისა (MY.GOV.GE) და კიბერჰიგიენის შესახებ მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის ტრენინგი ჩაატარა

მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის 23-24 მაისს, სასტუმრო „ბორჯომი პალასში“ ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული სანდო მომსახურების სამართლებრივი ასპექტების, ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) პრაქტიკული დანიშნულებისა და კიბერჰიგიენის შესახებ ტრენინგი ჩატარდა. ღონისძიება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ორგანიზებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით გაიმართა (გაგრძელება გვ. 5).



(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 4) ტრენინგს სსიპ “მონაცემთა გაცვლის სააგენტოს” წარმომადგენლები უძღვებოდნენ. ტრენინგის მიზანია საზოგადოების სხვადასხვა ფენისთვის სიახლეების გაცნობა და ელექტრონულ სერვისებთან, ელექტრონულ ხელმოწერასთან და კიბერპიჯიენასთან მიმართებით მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლება.

„მოხარულები ვართ, რომ ამჯერად მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ვესაუბრებით იმ ძირეული სიახლეების შესახებ, რაც უკავშირდება როგორც ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულებას ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენებას, ისე

ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მივაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონული სერვისების, ელექტრონული ხელმოწერის შესახებ და ნათლად დავანახოთ ის სარგებელი, რომლის მიღებაც მათი გამოყენების შემთხვევაშია შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, არასამთავრობო სექტორთან ერთად, მოვიწვიეთ მედიის წარმომადგენლები, რადგან ისინი ასრულებენ ინფორმაციის საზოგადოებამდე მიტანის საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს. ვინაიდან საქმე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ეხება, ასევე გადავწყვიტეთ ვისაუბროთ კიბერპიჯიენის შესახებ, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. ტრენინგები მთელი საქართველოს მასშტაბით ტარდება, სამიზნე აუდიტორია კი მოიცავს ყველას - საჯარო მოხელეებს, კერძო სექტორში დასაქმებულებს, მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, სტუდენტებს, მეწარმეებსა და სხვა“, - **ეკა გორდაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ კიბერუსაფრთხოებისა და ელექტრონული მმართველობის სამართლებრივი კვლევისა და ანალიზის მენეჯერი.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/შტამპი კომუნიკაციის თანამედროვე ფორმის განუყოფელი ნაწილია და უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობის გამო მისი გაყალბება პრაქტიკულად შეუძლებელია. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენება ამარტივებს ურთიერთობის პროცესს როგორც სხვადასხვა უწყებასთან და მომსახურების გამწევ ორგანიზაციასთან, ისე საქმიან პარტნიორებს შორის.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ